შპს “კავკასუს ავტო მოტივი ”

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
არააუდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ---------- 3
სრული შემოსავლის ანგარიშგება ----------4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ----------4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა..... 5
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები..... 11
4. ფული და ფულის ექვივალენტები 12
5. ადმინისტრაციული ხარჯები.....12
6. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 12

შპს „კავკასუს ავტომოტივი"-ს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	**31.12.2021**	**31.12.2020**
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	614,545	903,493
საგადასახადო აქტივი		
გადახდილი ავანსები	8,168	10,854
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,357,347	5,962,779
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	3,323,270	3,522,785
სხვა მოკლევადიანი აქტივები	8,043,341	916,971
სულ მოკლევადიანი აქტივები	**15,346,672**	**11,316,882**
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	33,655	105,787
არამატერიალური აქტივები		
სულ გრძელვადიანი აქტივები	**33,655**	**105,787**
სულ აქტივები	**15,380,326**	**11,422,669**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულები		
მიღებული სესხები	5,862,871	6,704,865
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,558,434	3,442,969
საგადასახადო ვალდებულებები	36,144	27,185
სხვა ვალდებულებები	14,994	22,230
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები	169,535	96,837
სახელშეკრულებო ვალდებულებები	729,815	481,567
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**12,371,792**	**10,775,653**
გრძელვადიანი ვალდებულები		
მიღებული სესხები		
დაქირავებულ მუშათა გასამრჯელოები - გრძელვადიანი ნაწილი		
ფინანსური იჯარი ვალდებულება		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	**12,371,792**	**10,775,653**
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	15,000	15,000
გაუნაწილებელი მოგება	2,993,534	632,017
სულ კაპიტალი	**3,008,534**	**647,017**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**15,380,326**	**11,422,670**

გრიგოლ კოხრეიძე	ნინო სიჭინავა
დირექტორი	**ბუღალტერი**

2021წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	2021	2020	2019
შემოსავალი	24,347,781	14,713,666	14,989,699
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(20,616,336)	(12,552,756)	(12,914,055)
საერთო მოგება	3,731,445	2,160,910	2,075,644
ადმინისტრაციული ხარჯები	(690,552)	(633,548)	(212,490)
კომერციული ხარჯები	(149,164)	(308,168)	(69,577)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(416,987)	(42,135)	(90,456)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ზარალი	2,474,741	1,177,059	1,703,121
ფინანსური შემოსავალი	910,935	45,577	11,055
ფინანსური ხარჯები	(708,371)	(1,564,604)	(644,162)
ზარალი დაბეგვრამდე	2,677,306	(341,968)	1,070,014
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	(96,029)
წლის ზარალი	2,677,306	(341,968)	973,985
სხვა სრული შემოსავალი			-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) მიკუთვნებული:			
კომპანიის მფლობელებს	2,677,306	(341,968)	973,985
არამაკონტროლირებელ წილს			-
მთლიანი სრული ზარალი	2,677,306	(341,968)	973,985
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	632,017	973,985	-
გაცემული დივიდენდები	(315,789)		-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	2,993,533	632,017	973,985

გრიგოლ კოხრეიძე
დირექტორი

ნინო სიჭინავა
ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებობის საზოგადოება "კავკასუს ავტომოტივი ", საიდენტიფიკაციო ნომრით 405302836 წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომელიც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში დარეგისტრირდა 16.11.2018 წელს. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი , ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N 3, ბინა 15.

კომპანია წარმოადგენს ვოლვო ქარ ქორფორეიშენის ოფიციალური იმპორტიორს საქართველოში. მისი ძირითადი საქმიანობაა ვოლვოს ავტომობილების ბოლო მოდელების, ორიგინალი ნაწილებისა და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია .

ამჟამად, კომპანიის წილის მფლობელები არიან: ლია წაქაძე (01008013681)-90%, შოთა მშვილდაძე (01005032857)-5%, პეტრე წაქაძე (01005020486)-5%.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.3. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა
ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაიცები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომელის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. 2.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან".

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

2.4 ფული და ფულის ექვივალენგტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.5. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გარძელება)

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა

ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადები

საოფისე აღჭურვილობა	3 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6. ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).
თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.
სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გარძელება)

(ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხომბს საპროცენტო განაკვეთს.

2.7. გადასახადები

მოგების გადასახადი - მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის 01 იანვრიდან კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების

ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა ხარჯების" სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების" შემადგენლობაში, მოგებაში ან ზარალში ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი - შეძენილი აქტივების თუ მატერიალური ფასეულობების, შემოსავლებისა და ხარჯების დარიცხვა ხდება დამატებითი ღირებულების თანხის გამოკლებით, გარდა იმ გამონაკლისებისა, როცა დამატებითი ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება ჩათვლას. ასეთ შემთხვევაში, დამატებითი ღირებულების ხარჯი მიეკუთვნება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებს ან აღირიცხება ხარჯის მუხლში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დღგ-სთან დაკავშირებით დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში სხვა ცვლილებები. 2017 წლის 1 იანვრიდან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის ან მომსახურების შემძენისაგან მიღებული ავანსები. კომპანია შესაბამისად ბეგრავს ავანსებს და აღრიცხავს საგადასახადო გადასახადების აქტივებში.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ, ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ, ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს
შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გარძელება)

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

2.9. შემოსავალი

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, ე.ი. როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს. შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

კომპანიის ძირითადი შემოსავლი წარმოადგენს ავტომობილების რეალიზაციიდან წარმოქმნილ შემოსავლებს რომელიც 2020-2021 წლებში შეადგენდა:

	2021 წელი	**2020 წელი**
ავტომობილების ადგილობრივი რეალიზაცია	24,151,079	14,652,204
ავტოტექ მომსახურება	196,701	61,461
	24,347,781	14,713,666

2.10. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღიარდება თუ :
-აღიარდება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა (მაგალითად, ცვეთის, ან თანამშრომელთათვის ხელფასის დარიცხვა).
-საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება მაშინ, თუ დანახარჯების გაწევისა და შემოსავლების ცალკეული მუხლების მიღების პროცესებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ეს არის ამონაგებისა და დანახარჯების

შესაბამისობის პრინციპი. იგი გულისხმობს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით, ან მოვლენით გამოწვეული ხარჯებისა და ამონაგების ერთდროულ აღიარებას.

კომპანიას საანგარიშო პერიოდში აქვს საოპერაციო იჯარა. კომპანია იჯარის კლასიფიკაციას ახდენს იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი პერიოდის განმავლობაში.

2.11. კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალის სახით, კომპანიის კაპიტალში, იმის გათვალისწინებით, რომ ის შეტანილი იქნება კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	614,545	903,493

5. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2021	2020
დასაქმებულთა ანაზღაურება	(642,228)	(530,369)
ცვეთა	(15,727)	(54,610)
იჯარა	(32,597)	(48,568)
	(690,552)	**(633,548)**

6. ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯები	2021	2020
საპროცენტო ხარჯი	(708,371)	(659,379)
დანაკარგი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	(899,974)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	(5,250)
	(708,371)	**(1,564,604)**

7. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ნაწილობრივი კონტროლით იმოქმედოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2020
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	1,751,809	3,779,485
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	-	-

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	2021	2020
საქონლის გაყიდვა	15,381,617	7,111,716